ტფილის ... საჯარო ბიბლიოთეკა

№ 158

სამშაბათი, 27 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 158

სამშაბათი, 27 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—19)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ც. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გუჯკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნენ: სამსახურიდგან ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის კანცელარიის მოსამსახურე გრიგოლ ზაქარიას ძე ხატიაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად; ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი კოლეჟსკი რეგისტრ. ნიკოლოზ პატიაშვილი; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ტფილისისა—ბაგრატ ქანანაშვილი, ავადმყოფობის გამო, ქუთაისისა—ალექსანდრე ნიჟარაძე და კრწანისა—ნიკოლოზ ქუთათელაძე, და ფოსტალიონები ოლთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა—სიმონ ლომიძე და ბათუმისა—რაჟდენ ტყაბლაძე. დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი მაქსიმე მახარაძე ცაგერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამ. აღმასრულებლად და პარმენ ლიპარტიანი დიდ ჯამაგირიან მოხელედ; ალექსანდრე რაზიკაშვილი კრწანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ხოლო სტეფან ანადაშვილი და პეტრე ვარდიაშვილი ახალთუმანისაში ფოსტა-ტელეგრაფის მე-VI ხარისხის მოხელეებად; ალექსანდრე ქუთათელაძე და ილია ჭინჭარაშვილი მცირე ჯამაგირიან ფოსტალიონებად პირველი—განჯისა და მეორე ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში. გადაყვანილ იქმნენ: ახალთუმანის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მოხელე იოანე ხანთაძე ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, და ფოსტალიონები ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ილია პეტრიაშვილი და ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა ივანე ჩაგოგიძე—პირველი იგდირისა, ხოლო მეორე ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

## ახალი ამბავი

*** როგორც ისმის, ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო კირიონი ამ დღეებში გორის მაზრაში გაემგზავრება ეკკლესიების სარევიზიოდ.

*** ქალაქის გამგეობამ, განიხილარა დაფასების უწყებანი, რომლებშიაც ხმოსანს ნ. ზ. თუმანოვს სიყალბე ჩაედინა, და, დარწმუნდა-რა, რომ სიყალბე ნამდვილად ჩადენილია, დაადგინა შეატყობინოს ეს ამბავი ტფილისის ოლქის სასამართლოს მბრალმდებელს გამოძიების მოსახდენად და ბრალდებულის პასუხის-გებაში მისაცემად.

*** გორის სასულიერო სასწავლებლის შენობას, რომლის აგება სამღვდელოებას 65,000 მან. დაუჯდა, ყოველ წლივ ხიფათი მოელის მტკვარისა, ლიახვისა და ფშანის მოდიდების დროს. გორის სამღვდელოება სცდილობს დაიცვას ეს შენობა ამ მდინარეთაგან, რომელთა მოდიდების გამო 1896 წ. წყალმა წალეკა სასწავლებლის ეზო და ქვის გალავანი. მაგრამ რადგან სამღვდელოებას საშუალება არა აქვს მდინარეთა გასამაგრებლად, ამის გამო გორის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების კრებამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ეგზარხოსის წინაშე იმის შესახებ, რომ დახმარება აღმოუჩინდეს სამღვდელოებას სასწავლებლის შენობისა და ეკკლესიის დასაცველად მდინარეთა მოდიდების დროს.

როგორც „კავკ." შეუტყვია, ეგზარხოსს მდინარეთაგან სასწავლებლისა და ეკკლესიის დასაცველად ზომების მიღება კავკასიის უმაღლესის მთავრობისათვის უთხოვნია.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ უცხო სარწმუნოების აღმსარებელნი, სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში და აგრეთვე ჯარში შესვლის დროს, რუსულ ენაზედ უნდა იქმნენ დაფიცებულნიო.

*** გაზ. „კურიერის" სიტყვით, მოსკოვის სავაჭრო სახლს „ა. ილინს შვილებითურთ" განზრახვა აქვს დააარსოს ქუთაისის გუბერნიაში გაუმჯობესებული აბრეშუმის სახვევი ქარხანა.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული კავკასიაში ტყეების დაცვის შესახებ.

*** „სინ. ოტ."-ს შეუტყვია, რომ სახალხო განათლების სამინისტრო მომავალ წლის დამდეგს გამოჰგზავნის, სხვათა შორის, კავკასიაშიაც განსაკუთრებულ კაცთ იმ სკოლების საქმის ადგილობრივ გასაცნობად, რომელნიც დაარსებულია უცხო ტომის მცხოვრებთათვის (ე. ი. არა რუსთათვის).

*** სასმელების გაყიდვა შავის ზღვის პირის გუბერნიაში მომავალ წლის 1-ლ ივლისიდგან ხაზინის ხელში გადავა.

## ფელეტონი

### განქიქება და განმარცვლა

II

ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე.

„დავითნი".

წმ. ნინოს პირველ მოწაფეთაგანი აბიათარ, მცხეთელ ურიათა მღვდელი, სწერს: „მას ჟამსა მე და ასული ჩემი (სიდონია) ღირს ვიქმნენით საპკურებელსა და განსაწმედელსა ცოდვათასა—ემბაზსა, წყალსა მას წმიდასა, რომელსაცა ინატრიდა დავით წინასწარმეტყველი და ვერ ეწივა *), და კუალად მესმა მე კმაჲ ახლისა შჯულისა (=ახალ აღთქმისა) მგალობელთაჲ, რომელსა ინატრიდა იგივე დავით და ვერ მიემთხვა". (გვერდი 53).

სიდონია სწერს: საქართველოს სამართლად ჩრდილო ერქვაო, რადგან მას ვერ ეცნო ძე ღუთისა, თუმცაღა „იყვნეს ესოდენნი წელნი და ესთუ ნნი ნათესავნი ნოვესითგან და ებერისითგან და აბრაჰამისითგან და მუნ შინა იყო იობ აზნაური, განცდილი განმცდელისაგან, ვითარცა იოსებ, მოსე, ისუ, მღდელნი და მსაჯულნი და შემდგომითი შემდგომად, რომელი იგი კიცით სმენილი წიგნთაგან საღმრთოთა" (გვ. 29).

იგივე ავქსონი განაგრძობს: „ქერობინთა ეტლთა ზედა მჯდომარისა წილ მთათა მაღალთა თაყვანის სცემდეს მამანი ჩუენნი—გებელსა და გარიზინსა,—და მას ზედა არა იყო არცა ღმერთი, არცა მოსე, არცა ნიში მათი, არამედ კერპნი ქვისანი უსულონი".

იგივე სიდონია, გარდმოგვცემს რაცნობას შესახებ იმისა, რომ „მოაქამდე" არმაზსა და ზადენს ათასს ყრმას სწირავდენო, ხოლო გაცსა და გას ერთს სეფეწულს, რომელსაც ცეცხლით სწვავდენ და მისს მტვერს „გარდააბნევდენ თავსა კერპისასა,"—განაგრძობს:

„და ამის ყოვლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა,—რომელი წიგნთაგან კიცა კითხვით და მამისა ჩემისაგან თხრობილსა".

აი მისი მოთხრობა: ჰეროდეს მეფობისას მოგვესმა ამბავი შესახებ 12-თა მოგვთა მოსვლისა იერუსალიმს თაყვანისაცემლად ძისა „დავითისსა", უჟამოდ შობილისა უადგილოსა ადგილსა, მწირისა დედაკაცისაგან. თაყვანისცეს, შესძლვნეს შესაწირავი და დაბრუნდნენ. ჰეროდემ ყრმაჲ ვერ იპოვნა, წარმართა მახვილი „ყოველსა წულსა ზედა ორით წლითგან და უდარესსა, რათა იგიცა მოსწყდეს მათთანა". ამის შემდეგ გავიდა 30 წელიწადი. იერუსალიმიდან ანა მღდელმა მოსწერა მამის მამასა ჩემსა ოზიას, რომ იგივე ყრმა გაიზარდა, მოვიდა იორდანის კიდეზედ, საცა ზაქარიაჲს ძე ნათლავდა ერს; ყოველი ნათესავი იერუსალიმისა განვიდოდა იოანესადა და „შენი მამის დედის ძმაჲ ელიოს თანავე იყოო *), მეოთხე წელს მოვიდა ბრძანება ჰეროდესი: „ყოველთა ძეთა იერუსალიმსათა, განზნეულთა ყოველსა ქვეყანასა, იხილეთ ერთი ღმერთი და იგულეთ და ისმინეთ ერთი უფალი და ისწავეთ ერთი სიტყვაჲ მოსესი, რომელი თქუა: „რომელმან ქვეყანასა ზედა თქუას ღუთად თავი თვისი, ძელსა დამოეკიდენ. და აი გამოჩნდა ერთი კაცი—იესო, რომელი თავის თავს ღმერთად ჰხადის, მოდით ყოველნი სიკვდილსა მისსა და აღვასრულოთ მცნება ღუთისა და მოსესი".

სიდონია განაგრძობს: აქედგან წავიდა მამის დედის ძმა ჩემი ელიოზ (სჩანს უკვე დაბრუნებული ყოფილა საქართველოში), კაცი მოხუცებული, რომლის დედა იყო ტომისაგან ელი მღდლისა. ელიოზს ჰყვანდა ერთად ერთი დაჲ—სიდონია.

დედა ასრე არიგებდა ელიოზს: „წადი, ხოლო ნუ გაერევი იმ საქმეში, რომელსაც იგინი აპირებენ, რადგან წინასწარმეტყველთა სიტყვა და ბრძენთა იგავი მაცხოვრის დაბადების შესახებ საიდუმლოჲ არს, დაფარულია ურიათაგან, ხოლო წარმართთათვის იქნება ნათელი და ცხოვრება საუკუნო". (გვ. 33).

კვალად განაგრძობს იგივე ავქსონი: „წარვიდა ელიოზ და ყოველნი ჰურიანი ქართლით და აღესრულა ყოველივე, რომელი აწ ვიცით ნინოჲს მიერ ევანგელთაგან ქრისტეს მიერ". ელიოსმა წარმოიღო ქრისტეს სამოსელი—კვართი (იქვე).

ვგონებ, უკვე იგულისხმეთ რისთვისაც ამოვსწერეთ აბიათარ მღდლისა და სიდონიას თხრობილი: ნინოს დროსვე საქართველოში მყოფ ურიებს ჰქონიათ მთელი ძველი აღთქმა, გაცნობილი ჰქონიათ „ევანგელე", ხელში სჭერიათ „დავითი", მაცხოვრის განკაცება გაგონილი ჰქონიათ, თვით ელიოს მოხუცს თვალით ნახული ჰყოლია მაცხოვარი (იორდანის ნაპირზე), ელიოსის დედა თითქმის ნახევრად ქრისტიანე ყოფილა.

ურწმუნონი ამბობენ: ამ დროს საქართველოში არავითარი მწერლობა არ იყოო, პირველი საეკლესიო ნაშთები მე VII—IX საუკ. ჩნდებაო. ჩვენს ეკლესიას კი ძველი დროითგანვე სწამს თავისი წიგნი „მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელშიაც შეტანილია ნაწერები: წმ. ნინოსი, სალომე უჯარმელისა და სიდონიასი, დაწერილი თვით ნინოს კარნახით, აბიათარ მღდლისა და მირიან მეფისა. ამგვარადვე ჩვენს ეკლესიას სწამს წმ. ნინოს მიერ თქმული ორი მოძღვრება, რომელიც ამოვიღეთ მე-IX—X საუკ. ძეგლებიდამ და უკვე დავბეჭდეთ ჩვენს ისტორიაში *). და მერე ამ ჩვენს „რწმენას" არ ეწინააღმდეგება ისტორიული მსვლელობა ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისა საქართველოსა და მის გარეშემო (იხ. დამატება იმავე ჩვენის ისტორიისა), და ამ შემთხვევაში ის გარემოებაც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ წმ. ნინო და მისნი ურია-ყოფილი მოწაფეები მოუმზადებლად, უწიგნოდ, დაუსაბუთებლად ვერ მოინადირებდნენ კერპთაყვანისმცემელ ერს. ლოღიკა და გონიერება ამის თავმდებია, ჩვენის აზრისით, და ჩვენი წიგნებიც იმასვე ამბობენ.

ნეტარი ნანა დედოფალი რომ განკურნა წმ. ნინომ და შინ დაბრუნდა თავის ფეხით, მირიანს გაუკვირდა სასიკვდილოდ გადადებულის მეუღლის მორჩენა. ხოლო დედოფალი ეუბნებოდა: „წმ. ნინომ მომარჩინა ჯვრის შეხებითაო", და ერის

*) აქ ავქსონი იგულისხმებს მე-50 ფსალმუნის მე-7 მუხლს, რომელიც მე-X საუკუნის „დავითნებში" იკითხება ასრე: „მასხურე მე საპკურებელითა შენითა და განვწმიდნე, განმბანე და უფროჲს თოვლისგანსპეტაკნე" (იხ. ქვემო დავითნების განახილვა).

*) თეიმურაზ ბატონიშვილი სწერს (მისი ისტორ.. გვ. 437): „ელიოზ მღვდელი წინადაც ყოფილა იერუსალიმში. იგი ფილიპე მოციქულის კარგი მეგობარი იყო. ამ ჟამად (ჯვარცმაზედ დასასწრებად) იგი პირდაპირ ფილიპესთან მივიდა, რომელმაც ელიოზი გააცნო ქრისტესა".

*) Исторія Груз. церкви. Кн. 1, Обращеніе картвельцевъ.

*** ქალაქის მოურავის მოადგილემ საგუბერნიო სამმართველოს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს მიერ შემუშავებული მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის მიხედვით შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა.

*** ქუთაისიდგან „ტფ. ფ." ატყობინებენ, რომ ადგილობრივი პოლიცმეისტერი სიმონოვი სხვა თანამდებობაზედ ინიშნება.

*** ქალაქის საბჭოს მკურნალით დაევალათ ყოველ კვირაში წარუდგინონ ქალაქის გამგეობას უწყებანი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დათვალიერების შესახებ.

*** დუშეთი. 20 ივლისს აქ მობრძანდა ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი. ადგილობრივს ეკკლესიაში დაუხვდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად მრავალი ხალხი და აგრეთვე ახლად შემდგარი ქალთა და კაცთაგან მგალობელთა გუნდი ბ-ნის დ. ს. პავლიაშვილის ლოტბარობით, რომელმაც საკმაოდ მწყობრად იგალობა შესაფერი საგალობლები მისის მეუფების ეკკლესიაში მისვლის დროს. ყოვლად სამღვდელოს ამ მხარეში მობრძანება და აქაურების შეხვედრა მით უფრო გულითადი და სასიამოვნო იყო, რომ იგი ამ მხარესათვის უცხო არა ბრძანდება, აქ დაბადებულა და დრო თვისის სიყმაწვილისა აქ გაუტარებია, რადგან მისს მამას აქ უმსახურნია. მისმა მეუფებამ დუშეთში სულ მცირე ხანი დაჰყო და შემდეგ გაემგზავრა ანანურისკენ, ხოლო გზად გავლით ადგილობრივ დაათვალიერა ქართველთა და სომეხთა შორის სადაოდ გამხდარი ბოდავის წმინდა გიორგის ნიში, რომელიც ახლა სომხებისგან მონათლულია სურბ-გეურქად. აქ ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ნიშში და მის გარეშემო არსადა სჩანდა ის ვითომდა დიდი შენობები და ხელოვნურად გაშენებული მრავალი ცხელის ქვეყნის ხეხილი, რომლის შესახებაც ამ ორიოდე წლის წინად ბევრი მელანი, ქაღალდი და უფრო ბევრი ტკაცუნა სიტყვები დახარჯეს სომხებმა. თითქმის ყველას ახსოვს, ვინც-კი ამ ნიშში როდისმე ყოფილა, რომ აქ ერთი საფლავი იყო ქართულის ზედ წარწერით და, როგორც ხალხი ამბობს, იქ დამარხული იყო ვიღაც დიდებაშვილი, იქვე მახლობელი სოფლელი ქართველი, რაიცა, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა, თუ კი იქ იმ თავიდგანვე სომხების ნიში ყოფილიყო და არა ქართველებისა; მას შემდეგ-კი, რაც ამ ნიშის შესახებ დავა დაიწყო, საფლავი აღარა სჩანს და მისი ქვაც თვისის ზედ წარწერით დაჰფარა და უჩინარ-ჰყო ცბიერებამა, შურმან და შიშმან ჭეშმარიტებისამან.

*** ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა სთხოვა პოლიცმეისტრის თანამდ. აღმ.-ს, განკარგულება მოახდინოთ, რომ აკრძალოს „სპარსული ლიმონათის" გაყიდვა, რადგან ეს სასმელი წარმოადგენს შაქრით გამტკბარსა და ჯანმრთელობისათვის მავნებელ საღებავებით შეღებილს უბრალო წყალსაო.

*** 24 ივლისს ტფილისის მაზრის სოფ. ოხოტის მახლობლად ნახეს მოკლულ გლეხის გვამი. გამოძიებისათვის წავიდნენ სამოსამართლო გამომძიებელი და გუბერნიის მკურნალი მაჭავარიანი.

*** 22 ივლისს შუაღამისას დ. სამტრედიის სადგურზედ მატარებლის ქვეშ ჩავარდა და სასიკვდილოდ გაისრისა ს. კონდუათის გლეხი ი. გ. ჩარგეიშვილი.

*** გუბერნიის მმართველმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება ხორცის ნიხრის 7 კაპეიკამდე დაკლების შესახებ.

*** 21 ივლისს ავლაბრის ნაწილის პოლიციის ბოქაულმა მოიწვია ქალაქის ექიმი ბ-ნი პროზაროვსკი და იმის თანდასწრებით დაათვალიერა ფალავანდოვის ქუჩაზე, ტარიელოვის სახლებში საავადმყოფო ოსმალოდგან გადმოხვეწილ სომეხთათვის, რომელსაც სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება ინახავს. აი რასა სწერს ბოქაული თავისს მოხსენებაში პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს, 22 ამ თვეს, № 8016:

„21 ამა თვეს, მოვიწვიე-რა ქალაქის ექიმი ბ-ნი პროზაროვსკი, დავათვალიერეთ საავადმყოფო ოსმალოდგან გადმოხვეწილ სომეხთათვის, რომელსაც სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება ინახავს, და შემდეგი სურათი ვნახეთ: საავადმყოფოში ხუთი ავადმყოფი წევს, დიდი უსუფთაობაა, ფანჯრები გამურულია, აქა-იქ ძველი ტანისამოსის ნაგლეჯები ჰყრია, შკაფი, რომელშიაც წამლები ინახება, გაღებულია, წამლები არეულია სახვევებსა და საცვლებში, რომელთა შორის ისეთებიც არის, რომ ადვილად, შეიძლება კაცი მოიწამლოს, მაგალითად, ანტიპერინი, ხლორალ-გიდრამი ორ-ორი უნცი. შკაფი დავკეტე და გასაღები თან წავიღე იმ საავადმყოფოს გამგე ექიმ გულულიანცის გადასაცემად. იქ ფერშალი არ იმყოფება, ავადმყოფებს ერთი ავადმყოფთაგანი უვლის. თუმცა 12 საათი იყო, მაგრამ სამზარეულოში ავადმყოფთ სადილს არ უმზადებდნენ; როგორც მითხრეს, უმეტეს ნაწილად სოლოლაკის უფასო სასადილოდგან ეზიდებიან სადილს. სამზარეულო პატარაა, და უსუფთაო, სადაც მხოლოდ ორი პატარა ისიც უვარგისი, სინის ქვაბია; მაგიდაზედ რამდენიმე დანაჩანგალი ეყარა, ისიც დაჟანგული და უვარგისი. იმავე ეზოში, ოთხ-პატარა უსუფთაო ოთახში ორმოცამდე გადმოხვეწილი სომეხი სცხოვრობს ცოლშვილით, ეზო მეტად უსუფთაო და დაუგველია, სახლის უკანა ეზოში ფეხის ადგილი სავსეა და საძაგელი სუნი სდგას."

ბოქაული ბოლოსა სთხოვს თავის მოხსენებაში ბ-ნს პოლიცმეისტერს, წინადადება მიეცით სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, დაუყოვნებლივ თავიდან მოაშოროს საავადმყოფოს ნაკლულევანებანი, წინაალმდეგ შემთხვევაში ნება მომეცით ეხლავე დავკეტო ის საავადმყოფო, რადგან იმ მდგომარეობაში იმის დატოვება ზიანის მეტს არას მოუტანს არც შიგ მყოფთ და არც გარეშემო მცხოვრებთ.

## მეცხვარეებისა და ცხვრის პატრონების კრება ქიზიყში.

კვირას, 18 ივლისს, ჩემის წინადადებით მოხდა სოფელ ქ.—მაჩხაანში კრება მეცხვარეების და საზოგადოდ ცხვრის პატრონებისა.

კრებაზედ დაესწრნენ მაზრის უფროსი ბ. კ. ზ. შანშიევი, მაჩხაანის, ახლად მოწვეული, მკურნალი ა. ნ. თ. დიასამიძე, მაჩხაანის ბოქაული თ. ნ. დ. ერისთავი, დ. მ. ნადირაძე, დეპოს მოსამსახურე, ქიზიყის სამღვდელოება, აზნაურობა, თითქმის ყველა სოფლის მამასახლისები, ცხვრის პატრონები და მრავალი სხვა ხალხი. აქვე დაესწრო, ტფილისიდგან ჩამოსული მაჩხაანში სცენის გასამართად არტისტი ვ. ა. აბაშიძე. საზოგადო რიცხვი დამსწრეთა აღემატებოდა 300 კაცს. გული სიხარულით აღმევსო, როდესაც დავინახე უზარ-მაზარი, ახლად გამართული თ. ნ. დ. ერისთავის ხარჯით და თაოსნობით, სათეატრო აივანზალა მთლად გაჭედილი, აქ მოგროვილის ხალხით. ვიფიქრე, ტყუილია ალბად, ვითომც ჩვენი ხალხი უიმედო იყოს მეთქი. მართლაც, აქ, ჩემს თვალ წინ იდგა ქიზიყის საუკეთესო საზოგადოება და ბჭობდა იმას, თუ როგორ დაეხსნა თავი იმ აუარებელ ყვავ ყორნებისაგან, რომლების სატიალოდ გამხდარა ქიზიყის ავლა-დიდება. კრების დაწყებისა თანავე მაზრის უფროსმა აუხსა ხალხს, თუ რისთვის არის იგი მოწვეული. „თქვენ უნდა იზრუნოთო, რომ მოაწყოთ საკუთარი მატყლის საწყობი ქ. ტფილისში, რადგანაც ეს შეადგენს საუკეთესო იარაღს მემატყლეთა წინააღმდეგ საბრძოლად.—მტერთა მოსაგერებლად ჩვენ გვყავს ჯარები.—მხოლოდ შეერთებულის ძალით შეიძლება მტრის დაძლევა. იქ, სადაც ულონოა ერთი კაცი, ღონიერია მთელი სოფელი. ეს კარგად არის შეგნებული განათლებულ ქვეყნებში. ამიტომაც ასე ბლომად შევხვდებით აქ ამხანაგობათ, სინდიკატებთ. მატყლის საწყობი მისცემს მეცხვარეთა ამხანაგობას შეძლებას თვით დაიბრუნოს ის მოგება, რომელიც ეხლა რჩებათ ჩარჩ მოვაჭრეთა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენშიაც ბლომად აღმოჩნდებიან იმისთან ჩარჩები, რომელნიც დაგიწყებენ რჩევას, ვითომც ამისთანა საწყობი თქვენთვის სასარგებლო არ იყოს, მაგრამ ნუ გაუგონებთ ამ მგლებ-მტაცებელთაო. ამათ ალაპარაკებს ასე ის პირადი სარგებლობა, რომელსაც მოიმკიან იგინი თქვენის უცოდინარობით და გამოუცდელობით. მე ჩემის მხრივ გირჩევთ, როგორც თქვენთვის კეთილის მდომი მამა, მიიღოთ რჩევა დარიგება და როგორც კი შეიძლებოდეს მოკლე ხანში დაიარსოთ ქ. ტფილისში საკუთარი მატყლის საწყობიო", დაამთავრა მაზრის უფროსმა.—

შემდეგ მე და დ. ნადირაძემ განუმარტეთ ხალხს, თუ რა გვარად შეიძლება მოწყობა აღნიშნულის საწყობისა, საიდგან და რომელ საკრედიტო დაწესებულებისაგან შეიძლება წინად ფულის გამოტანა მატყლის პატრონების ხელის მოსანაცვლებლად და საზოგადოდ საწყობის მოსაწყობ-გასამართად და სხ. ხალხი შემზადებული დაგვხვდა ამ საქმისათვის. ამ საგნის შესახებ ლაპარაკი ახალი არ არის ჩვენში. ჯერ კიდევ ამ ოთხის წლის წინად ეს კითხვა იყო აღძრული. ისევ 1895 წ. ქიზიყიდგან იყვნენ გაგზავნილნი წარმომადგენელნი ტფილისის სამეურნეო საზოგადოებაში, სადაც მათ სხვებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა ამ საგნის ბჭობა-მოსაზრებაში. სამეურნეო საზოგადოებამ შეადგინა თვით წესდებაც, მაგრამ რაღაც მიზეზისა გა-

სიმრავლეც, რომელიც დედოფლის განკურნების დროს იქვე ნინოს მაყლოვანთან ყოფილიყო, დაამტკიცებდა მისს სიტყვას.

მირიანმა მიიწვია ურია ყოფილი აბიათარ და იწყო გამოძიება ქრისტეს სჯულისა ძველთა და ახალთა წიგნთაგან. იგი ასწავებდა ყოველსა. მეფეს აქვნდა წიგნიცა ნებროთისი და იმაშიაც ეწერა: „.. უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვაჲ.". აღმოიკითხა-რა მეფემ ეს სიტყვები, იგულისხმა, რომ ძველნი წიგნნი და ახალნი (წმ. ნინოს მოტანილი სახარება!) (ერთმანეთს) ემოწმებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა, და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა." (ქცხ., 84).

აქ კვლავ უნდა შევჩერდეთ ერთს წამს. წერილში „ერან-თურანის ტალღა" მკითხველს გავაცანით მცირე ნაწყვეტი წიგნიდამ „ნებროთიანი", აღვნიშნეთ, რომ ეს წიგნი, ალბად, სპარსთა თხუზულება იყოო და ბოლოს ვთქვით, რომ ამის მეტი ამ „ნებროთიანის" შესახებ სხვა ცნობა აღარ შენახულაო. მხოლოდ გუშინ საეკლესიო მუზეუმის ერთს ხელნაწერში (№ 153) წავაწყდით ფრიად საყურადღებო ცნობას ამავე „ნებროთიანის" შესახებ.

ამ ხელნაწერში სხვა და სხვა წერილებია: ა) საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსვლისა (გვ. 1—54); ბ) ადამის დასაფლავებიდამ მაცხოვრის დაბადებამდე, თარგმანი მამისა ეფრემისი (55—142), გ) თარგმანება დაბადებისა, დ) იერუსალიმის აშენება, ე) ფილოსოფოსთა სიბრძნენი და სხვ.

წიგნი ძველის დედნიდამ გადაწერილია გარეჯაში, მე XVI—XVII საუკუნ. ხელით.

პირველი ორი წერილი აპოკრითია. ავქსონი შენიშნავს პირველი წერილის ბოლოს: ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად „აპუკუროფა" (ე. ი. აპოკრითი), რომელ არს სამოძღვროთა კითხვა და არა ყოვლისა ერისა საამჯნო ყოფა, უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა რჯულის კანონი" (გვ. 54).

ავქსონი დიდის დაწვრილებით, ბ არა თ-ნახმად „დაბადებისა", მოგვითხრობს ადამის ცხოვრებას და კაცობრიობის გამრავლებასა, განაწილებასა და განვითარებას. ყველა ამას დიდი ფასი აქვს ცნობის მოყვარეთათვის და მოითხოვს ცალკე განხილვას.

„ნებროთიანის" შესახებ ცნობას კი აქვე ამოვწერ.

ნებროთ გმირის დროს გამოჩნდა ცეცხლი*) აღმოსავალით: ნებროთმა იხილა და თაყვანი სცა. მღდელთ უბრძანა თაყვანი სცენ ცეცხლსა და უკმიონ გუნდრუკი. იქ, სადაც ცეცხლი გამოჩნდა, იყო წყაროი წყლისა. მას ზედა შექმნა მშვილდი თეთრი, რათა ყველამ თაყვანი სცეს მას. თვითონ შევიდა ქვეყანასა იანკონს და ზღვის პირს რომ მივიდა, ნახა იუნიტან. ზღვაში იბანა და იუნიტანს თაყვანსცა. „შენ მეფე ხარ და მე კი თაყვანს მცემო", უთხრა იუნიტანმა. „შენ სანახავად მოვედიო", მიუგო და მასთან დარჩა სამს წელს' და მისგან „ისწავა წიგნი სიბრძნისა". შემდეგ ნებროთი დაბრუნდა აღმოსავლეთს. ერს ფრიად უკვირდა ნებროთის სიბრძნის მეტყველება. მას ჰყვანდა ინდიბან მღდელი. ეს შეეხვეწა ეშმაკს, ესწავლებინა „სიბრძნე იგი ნებროთისი". მან უთხრა: „კაცი ვერ შემძლებელ არს ბრძენ ყოფად, ვიდრე არა დაწვეს დედასათანა და დასა, და ასულსა". ქურუმმა ეგრე ქმნა. მის შემდეგ ქურუმთა და მოგვთ წესად შეექმნათ დედისა, დისა და ასულის შერთვა ცოლად.

ამ ინდიბანმა პირველ იწყო ვარსკვლავთ რიცხვაჲ, გრძნებაჲ, ბედის თხრობაჲ, მისნობაჲ და ზღაპრობაჲ. „და კარი ყოვლისა სიბრძნისაჲ ისწავა". ამის მიმყოლნი დაისჯებიან დღესა მას აღდგომისასა.

ხოლო წიგნი, რომელი ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა ამისთვის, რამეთუ ვარსკვლავთ რიცხვაჲ არს, არამედ სპარსნი უწოდებენ ღირსად წმიდად, ხოლო ბერძენნი უწოდენ ვარსკვლავთ რიცხუად წიგნსა მას, ხოლო მოგუნი „ფედ" სახელსდებენ, რომელ არს „წიგნი სიტყვსა". ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღურებაჲ ეშმაკთა სიბილწისა, და უმეცარნი იტყვან, ვითარმედ ჭეშმარიტარსო, ხოლო არს კარი გრძნებისა და შეგინებისა" (გვ. 141—142).

ამაზედ ცხადი-ღა მოწმობა იქნება დასამტკიცებლად ქართლისცხოვრების სიტყვისა, რომ მირიანს „ნებროთიანი" ექირაო და მით ამოწმებდა ქრისტეს განცხადების სიჭეშმარიტესო?!

იგივე მოწმობა განა არ ამართლებს ჩვენთა მეცნიერთა აზრს, რომ ქართველ სამღვდელოებამ გააქრო კვალი წარმართულ დროინდელ მწერლობისაო?!

ნებროთმა, სწერია ამავე წიგნში, ააშენა აღმოსავლეთს დიდი ქალაქები: ბაბილონი, ნინევი, რასათანი, სულაკი, დარჯანი, კესტაფანი (კტეზიფონი!), სმოკალანი.

(ენათა შერევის შემდეგ) წარვიდეს აღმოსავლით... და დაეშენნეს. იყო სიტყვაჲ მათი ერთ, და ენასა ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე მუნ დღემდე ენასა ასურთასა, ფრიად ვრცელსა, ვიდრე სომხათამდე. და არს ენაჲ იგი მეფე ყოველსა ენასა ზედა. ერთა განბნევის შემდეგ იქმნა სამოცდა ათი ენაჲ (129—131).

საზღვარი იაფეთისნი: აღმოსავლეთით მთითგან ნუდიასთანა ტიგრის მდინარემდე და დასავლით ნებრისითგან ღოდა-ისამდე (გვ. 132).

შვილნი ქამისნი არიან მეგვპტელნი, ჰაბაშნი და ჰინდონი,*) ანაბნი, ლაბდაკინნი, ლუვანნი, ლავდინნი, არფანნი.

ძენი სემისნი არიან მპყრობელნი სპარსეთისნი აღმოსავლეთიდგან ვიდრე ზღუამდე ჰაერისა, და დასავლით იგინი არიან შუა ქვეყანასა და კელმწიფებით მეფობენ და ქუეყანასა იპყრობენ (იქვე).

და ასრე, კიდევ აღმოჩნდა ერთი წყაროთაგანი ქართლის ცხოვრებისა — „ნებროთიანი" და კვლავ დამტკიცდა, რომ ჩვენს მატიანეს უწყაროოდ არა უწერია-რა. ახლა გულ-დაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ: „მატიანე არა სტყუის, როდესაც ამბობს, მირიანს „ნებროთიანი" ჰქონდაო და მით შეამოწმა სიმართლე მაცხოვრის განხორციელებასაო".

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 156.

*) ჰინდონი და ჰინდოეთი ინდოეთი არ გეგონოთ, იგი არის უდაბნო, ეთიოპია: „შენ შემუსრე თავი ვეშაპისა მის და მიეც იგი საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა" (ფსალმ. 73, 14); იგივე რუსულად.. Отдалъ людямъ пустыни (еѳiопскимъ), „მის წინაშე პირველად ინდონი შეუვრდენ" (ფს. 71, 9); რუსულად: „Падутъ предъ нимъ жители пустынь". წმ. ნინო თავის თავს „ინდოეთისად" სთვლის, ე. ი. უდაბნოელად, მწირად (ე. თაყაიშვილის „ახალი ვარ. ნინოს ცხოვრ., გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო დღემდე დარჩენილა იგი განუხორციელებლად.—ამ ხელაც კრებას მიეცა წინადადება შესახებ თუშურის მატყლის საწყობის გამართვისა ქ. ტფილისში. ეს მატყლი მაღალი ღირსებისაა და კარგადაც ჰფასობს დასავლეთ ევროპის და თვით შიდა რუსეთის სავაჭრო ადგილებში. ჯიში ცხვრისა, რომელიც იძლევა ამ გვარს მატყლს, გავრცელებულია საზოგადოდ მთელს ტფილისის გუბერნიაში. ამის გამო, უეჭველია, ამ საწყობის გამართვაში ქიზიყს მიემხრობიან სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხენიც: კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქართლი და სხვ. წლიური გამოსავალი ამ გვარის მატყლისა არის არა ნაკლებ, მგონია, 200 ათასის ფუთისა, რომელიც, სულ უკანასკნელი, ღირს მილლიონ ნახევარ მანეთად. მთლად ამოღენა მატყლი ეხლა აქვს ჩავარდნილი ხელში სულ ორ-სამ მატყლის მოვაჭრე კაცს, რომლებიც თავის სურვილისამებრ ასწევენ და დასწევენ ხოლმე მატყლის მაზანდას. მამად-მთავრად მატყლის მოვაჭრეებისა, სამართლიანად, ითვლება ეხლა ბ-ნი სტუკინი, რომელიც აძლევს კილოს ყველა დანარჩენ მატყლის მოვაჭრეთ. ამ ვაჟბატონის წყალობით ამ წლის გაზაფხულზედ მატყლის ფასი ისე დაეცა, რომ სამ მანათზედ ჩამოვიდა. ბევრს მეცხვარეს მატყლი სრულიად გაუყიდავი დარჩათ, ბევრმა ამჯობინა ცხვრის თავიდგან მოშორება, როგორადაც საზოგადოდ სახიფათო მრეწველობის დარგისა.

თუმცა 24 აპრილის 1899 წლის დადგენილობით მეცხვარეებს და ცხვრის პატრონებს აღკრძალული ჰქონდათ კერძო მოვაჭრეებზედ მატყლის გასყიდვა, რადგანაც გარდაწყვეტილი იყო შემოდგომისათვის მოეწყოთ საკუთარი მატყლის საწყობი, მაგრამ მატყლით მოვაჭრეებმა იმდენი ოინბაზობა და ვერაგობა იხმარეს, რომ კიდევ მოატყუეს ცხვრის პატრონები და დაურიგეს მათ უსარგებლოდ ბეები შემოდგომის მატყლის ხელში ჩაგდებისათვის.

ამ გარემოებამ და იმან, რომ დიდის ჯარიმის გარდახდა მოელოდათ მოტყუებულ ცხვრის პატრონებს მე მატყლეების სასარგებლოდ, შეუშალა ხელი კრებას ეხლავე მოეწყო მატყლის საწყობი ქ. ტფილისში შემოდგომის მატყლის მოსათავსებლად და გადაადებინა ეს საქმე მომავალის 1900 წლისათვის.

დასაკანონებლად ამ გვარის გარდაწყვეტილებისა კრებისაგან დაიწერა ორი ხელ-შეკრულების ქაღალდი: პირობისა და რწმუნებისა.

პირველად ყველა სიღნაღის მაზრ.—ქიზიყის ცხვრის პატრონები და მეცხვარეები სდებენ მტკიცე პირობას იმის შესახებ, რომ დღეის იქით აღარავის შეეძლოს გაყიდოს რომელსამე კერძო ვაჭარზედ როგორათაც 1900 წლის გაზაფხულ-შემოდგომის, ისე სხვა წლების მატყლი, ვიდრე მეცხვარეთა ამხანაგობა იარსებებს. ხოლო უკეთუ გაჰყიდოს ვინმემ და ამხანაგობის საწყობში არ წარმოადგინოს, მაშინ მან ოცი თუმანი (200 მან.) ჯარიმა გარდაიხადოს ამხანაგობის სასარგებლოდ, როგორადაც მოღალატემ ამხანაგობის ერთობისამ.

მეორით—რწმუნების ქაღალდით კრებამ აირჩია თავის რწმუნებულ პირებად სამი მოთავე კაცი: მაზრის უფროსი კ. ზ. შანშიევი, ა. ი. ნატროშვილი და დ. მ. ნადირაძე, რომელთაც მიანდო იშუამდგომლონ ტფილისის რომელსამე საკრედიტო დაწესებულებასთან, რომ სარგებლით ასესხოს მან, მეცხვარეთა ურთი ერთის თავდებობით, ათასი თუმანი ფული გაზაფხულის 1900 წლის მატყლის სოფლებიდგან ქ. ტფილისში ჩამოსატანად და აქ ამ მატყლის მოსათავსებელ საწყობის გასამართავად. ამათვე მიენდო კრებისაგან ტფილისში გასასყიდად ჩამოტანილი მატყლი, ჩამოტანის უმალ, დაუგირავონ იმ ბანკს და საკრედიტო დაწესებულებას, რომელიც მათ წინადვე საქმის განსახორციელებლად ხელს მოუმართავს ფულით, გამოტანილი ფული დაურიგონ მატყლის პატრონებს საოჯახო-სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. რწმუნებულ ზემო-აღნიშნულ კაცებს მიენდო კრების მიერ აგრეთვე შეუდგნენ დღეიდგანვე საქმეს, ააშენონ, ან დაიქირაონ ქ. ტფილისში მატყლის საწყობი; შეიმუშაონ მცოდნე კაცთა და სამეურნეო საზოგადოების დახმარებით წესდება მეცხვარეთა ამხანაგობის საქმეთა წეს-რიგიანის მოქმედებისათვის და წარადგინონ ეს დასამტკიცებლად სადაც და ვისთანაც ჯერ არს.

ამ დადგენილებაზედ ხელი უწერიათ ქიზიყის შემდეგ სოფლების მეცხვარეთა და ცხვრის პატრონთა: ზემო მაჩხაანისას, ქ.—მაჩხაანისას, საქობოსას, ბოდბის-ხევისას, მირზაანისას, არბოშიკისას, ფანიაანისას, ჯუგაანისას, ტიბაანისას, ოზაანისას და კოტაანისას.

მატყლის რიგიანად გაპარსვის და ჩამოტანისათვის ქ. ტფილისის საწყობში მთებიდგან, აგრეთვე დასახმარებლად ყოველ-გვარ საქმეებში ამხანაგობის გამგეთ დაენიშნათ კრების მიერ შემდეგნი მეცხვარეები: ზემო-მაჩხაანიდგან: თომა რაბიტაშვილი და კიკოლა ჯანაშვილი; ქვემო-მაჩხაანიდგან: ივანე ჰუჰულაშვილი და ისაკო მოსულიშვილი; საქობოდგან: დათიკო ჯავაშვილი და სანდრო ტურაშვილი; ბოდბის ხევიდგან: მიხაკო ნაცვლიშვილი და ფიფო ლულაშვილი; მირზაანიდგან: აზ. ივანე ნოდარისძე გომელაური და ტიმოთე გონაშვილი; არბოშიკიდგან: სანდრო დათუკაშვილი და სიმონა ბალაშვილი; ფანიაანიდგან: ქიტა და სოსიკო ბეგიაშვილები; ჯუგაანიდგან: ისაკო ნარინდაშვილი და ხატო ბოლაშვილი; ტიბაანიდგან: დათიკო ალავერდაშვილი და ვანო ხატიაშვილი; ოზაანიდგან: იაგორ ოზაშვილი და კოტაანიდგან—ილიკო კოტაშვილი.

ა. ნატროშვილი.

---

## თერგის ოლქის მასწავლებელთა და მასწავლებლად ყოფილთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება.

ივლისის პირველ რიცხვებში თერგის ოლქის საერო სკოლების მასწავლებელთ დაურიგდათ ანგარიში ზემოდ დასახელებულ საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლის განმავლობაში. საყურადღებოდ მიმაჩნია მოკლედ მოვიყვანო მისი შინაარსი.

ეს საზოგადოება დაარსდა თერგის ოლქის საერო სკოლების დირექტორის აზრით და დამტკიცებულია მთავრობისაგან 18 მაისს 1897 წ. აზრად აქვს თერგის დირექციის გაჭირვებულ მასწავლებელთა და მასწავლებლად ყოფილთა შეწევნა. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყოლია 251 წევრი, მათ შორის ერთი საპატიო. საწევრო ფული (წელიწადში ორი მანეთია) შემოსულა სულ 710 მ. 91 კ., სამწერლო ხარჯი ყოფილა 20 მ. 65 კ., წმინდა შემოსავალი შეადგენს 690 მ. 26 კ.

სათავნო თანხის შესადგენად წევრთა პირველს საზოგადო კრებას გარდაუდვია 1898 წლის სრულ შემოსავლიდგან 50%, ე. ი. 355 მ. 46 კ. იმ კრებასვე ამოურჩევია ორის წლით გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრად ითვლება, სხვათა შორის, ადექსიო ჭიჭინაძე. მთელის წლის განმავლობაში გამგეობას მიუღია ორი შუამდგომლობა: ერთი შემწეობის მიცემის შესახებ და მეორე ფულის სესხებისა. პირველი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებიათ, რადგანაც ჯერ არ გასულა ორი წელიწადი, რაც მთხოვნელი საზოგადოების წევრად ითვლება; წესდების მე-12 §-ით ამ გვარზედ ადრე არავის უნდა მიეცეს შემწეობა, ამასთან მთხოვნელი იმ დროს უკეთესს ადგილზე გადასულა და ამიტომ არა ყოფილა უკიდურესს მდგომარეობაში. რაც შეეხება მეორე შუამდგომლობას, იმისი დაკმაყოფილება შეუძლებლად უცვნიათ, რადგანაც საზოგადოების წესდებაში სესხის გაცემის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი. ამისდა მიუხედავად, გამგეობის რამდენსამე წევრს მხურვალე თანაგრძნობა განუცხადებია უკანასკნელ შუამდგომლობისათვის, რადგანაც მასწავლებლები ხშირად ესაჭიროებენ სესხსა თავის მიუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გარნა სასესხებელი ფული ვერსად უშოვნიათ; ამიტომ ეს კითხვა გამგეობას საზოგადო კრებისათვის წარუდგენია. საზოგადო კრებაზედ 23 აგვისტოს 1898 წ. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩენილა, რომ 14 ხმა სესხის გაცემის მომხრეა და 10 მისი წინააღმდეგი, მათ რიცხვში ყოფილა თავმჯდომარის ხმაც. ამ უკანასკნელთ თავისი აზრი იმით დაუსაბუთებიათ, რომ სესხის გაცემით საზოგადოება მალე გზას აუქცევს თავისს აზრს და გარდაიქცევა გამსესხებელ კასად, რომელიც მალე შესწყვეტავს მოქმედებას, რადგანაც მსესხებელნი იშვიათად უბრუნებენ წაღებულს ფულს. დასასრულ, ეს კითხვა ვერ წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად მე 43 §-ს ძალით, რომელიც ამ შემთხვევაში მოითხოვს დამსწრეთა $^2/_3$ ხმის უმეტესობას.

შემოსავლის გასამრავლებლად გამგეობას გარდაუწყვეტია შეუკვეთოს პატარა წიგნაკები და დაუგზავნოს სამოქალაქო სკოლების ინსპექტორთა და ზედამხედველთ შემოწირულების მისაღებად; გარდა ამისა, დაუდგენია სთხოვოს ოლქის უფროსს, რომ მან შემწეობა დაუნიშნოს საზოგადოებას იმ თანხიდგან, რომელიც გადადებულია სასტანიცო სკოლების დასახმარებლად, და წინადადება მისცეს სოფლებისა და სტანიცების საზოგადოებათ, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა. ამ გვარივე მოწოდებით მიჰმართავს გამგეობა თერგის ოლქის ქალაქების საზოგადოებებს და კავკასიის რკინის გზის მმართველობას.

რადგანაც რამდენსამე წევრს განუცხადებია, რომ დედათა გიმნაზიები არ ანთავისუფლებენ სწავლის ხარჯიდგან დაბალსა და პირველ დაწყებით სკოლებისა მასწავლებლების ქალებს, გამგეობას განუზრახავს მიჰმართოს თხოვნით დედათა გიმნაზიებს და პროგიმნაზიებს და აგრეთვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ ღარიბ მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება უფასოდ მიაბარონ თავიანთი შვილები ამ სასწავლებლებში.

საზოგადო კრებაზედ 23 აგვისტოსვე ერთს წევრს წაუკითხავს მოხსენება, რომელშიაც ის აზრი გაუტარებია, რომ საზოგადოების უმთავრესს საზრუნავს საგანს იმ სოფლის მასწავლებელთა დახმარება უნდა შეადგენდეს, რომლებიც მოინდომებენ თავისს შვილებს პირველდაწყებით კურსის შემდეგ განაგრძობინონ სწავლა. ავტორის პროექტით რუსეთის ყველა სახალხო მასწავლებლებმა უნდა შეეწეროს თვიური გარდასახადი საერთო თანხის შესადგენად, რომლის სარგებლითაც აღიზრდებიან სოფლის მასწავლებლების შვილები. ეს კითხვა კრებას ფრიად საყურადღებოდ უცვნია, მაგრამ საზოგადოების ხელ-მოკლეობის გამო მისი შესრულება ჯერ-ჯერობით შეუძლებლად დაუნახავს.

ა. მ.

---

## რუსეთი

კიევის საარქეოლოგო კრებას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მოსკოვსა და კიევში დაარსებულ იქმნას ისეთივე საარქეოლოგო ინსტიტუტები, როგორიც პეტერბურგში არსებობს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ქალაქის არჩევანების დროს ისინი, რომელთაც ქონებრივი ცენზი აქვთ და ამავე დროს სავაჭრო-სამრეწველო საქმეს მისდევენ, ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ ერთხელ უნდა იქმნან შეტანილი ქონების რაოდენობის მიუხედავად.

— ამას წინად ვწერდით, რომ პეტერბურგის დედათა უმაღლეს კურსებზედ შემსვლელთ უნდა გადაიხადონ წელს გამოსაცდელი ეგზამენები. ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგის დედათა უმაღლეს კურსებზედ შემსვლელთ წელს გამოსაცდელი ეგზამენები არ უნდა დაიჭირონო.

— „Рус. Вѣд.“-ი იუწყება: სენატმა განმარტა, რომ იმ განსაკუთრებულ წესდების რომელსამე დადგენილების დარღვევა, რომლითაც განსაზღვრულია ქარხნის პატრონთა და მუშათა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება, ეკუთვნის იმ გვარს დანაშაულობას, რომლითაც სახივარი საქარხნო ინსპექციამ უნდა აღძრასო.

— ამ რამდენისამე ხნის წინად თერგის ოლქში დაარსებულ იქნა ახალშენი-საავადმყოფო კეთროვანთათვის. ეხლა, კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ვლადიმირის შუამდგომლობით, „წითელის ჯვრის“ მთავარმა სამმართველომ 2000 მანეთი გადასდო ამ ახალშენის შესანახად.

— შიდა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების აქციონერთ დავა დაუწყიათ ხაზინასთან. აქციონერნი ხაზინას 6 მილიონ მანეთს ედავებიან. გადასახადი მარტო იმისთვის, რომ დავის დაწყობის ნება მისცემოდათ, აქციონერთ გაუღიათ 30 ათასი მანეთი.

— მთათა დეპარტამენტი, როგორც „С. О.“ იუწყება, ამ ცოტა ხანში შეუდგება იმ ახალ წესების განხილვას, რომელიც შეეხება მუშათა განსაცდელისაგან უზრუნველ-ყოფელობას მთა-მადნებში მუშაობის დროს. როგორც ისმის, მთავრობას აზრადა აქვს დაავალოს ქვა-მადნის და მადაროს პატრონთ იქონიონ იქ, სადაც წარმოებაა, აფთიაქები და საავადმყოფოები და იყოლიონ ექიმები და ფერშლები. ამას გარდა დეპარტამენტს აზრადა აქვს დაავალოს იმ ინჟენერებს, რომლებიც ასეთ ადგილებში მუშაობას განაგებენ, გამართონ ხოლმე დრო-გამოშვებით მუშებთან საუბრები იმის შესახებ, თუ მუშაობის დროს მუშები როგორ უნდა გაუფთხილდნენ და მოუარონ თავს.

— იმავე გაზეთის სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს მომავალ წელს დააარსოს რამდენიმე პრაქტიკული სკოლა, სადაც მოსწავლეებს სამეურნეო მანქანებისა და იარაღის მომზადება-გაკეთებას ასწავლიან.

— კიევის უნივერსიტეტში შემსვლელ ყმაწვილ კაცთა რიცხვი იმდენად დიდი ოურმეა ამ ჟამად, რომ ჯეროვან რაოდენობის შევსება შესაძლებელია დათხოვნილ სტუდენტთა უკან მიუღებლადაც. („Приаз. край“).

— მთავრობამ არ შეიწყნარა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კიევის საარქეოლოგიო კრებაზედ მოხსენებანი მალოროსიულ ენაზედ წაეკითხათ. ამის გამო შევჩენკოს სახელზედ ლვოვში არსებულმა საზოგადოებამ დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს ხსენებულ კრებაში.

— როგორც ისმის, საქარხნო და სამთო საქმეთა მთავარ-საკრებულო, რომელიც ახლად დაარსდა, თავდაპირველად ნავთის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ზომების შემუშავებას შეუდგება იმიტომ, რომ ამ მუშათა მდგომარეობა განსაკუთრებით შევიწროებული და აუტანელია.

— ვარშავის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტს ა. კაჩს გამოუგონია ერთგვარი ხელსაწყო უსინათლოთათვის წერის გასაადვილებლად. ამ ხელსაწყოს შემწეობით ისეთ უსინათლოს, რომელსაც სინათლის დაკარგვამდე წერა სცოდნია, შეუძლიან კარანდაშით სწეროს ყოველგვარ ზომის ქაღალდზედ. ხელსაწყოს ფასი 3 მანეთიდგან 5 მანეთამდეა.

— პროფ. პეტერსენი, რომელიც მომავალ აგვისტოში რუსეთის წარმომადგენლად იგზავნება ბრიუსელში მეძაობისა და სიფილისის საქმეთა საერთა-შორისო კრებაზედ დასასწრებლად, ამზადებს კრებისათვის მოხსენებას სიფილისისა და მასთან ბრძოლის შესახებ რუსეთში.

— პორტ-არტურის მოსაწყობად მთავრობას გადაუდვია 11,000,000 მანეთი.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** პარლამენტის კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განსახილველად კანონ პროექტი მოხუც დარბაზთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, დაამთავრა თავისი მუშაობა. კო-

მისიამ შეადგინა თავისი მოხსენება, რომლის უმთავრესი მუხლები უკვე დაიბეჭდა გაზეთებში. კომისია ამ საგნის შესახებ უფრო შორს მიდის თავისს მოხსენებაში, ვიდრე პროექტის შემდგენლებს ჰქონდათ აზრათ. მკვდი მოდგმის კონსერვატორებს ძლიერ გააკვირვებს კომისიის მოხსენება,— ამბობენ ლიბერალური გაზეთები,— თუმცა-კი ეს პროექტი კონსერვატიულმა სამინისტრომ წარმოშობაო.

კომისიის მოხსენებით, ყველამ, ვისაც 65 წელი შეუსრულდება და კვირაში 10 შილინგზედ მეტი შემოსავალი არ აქვს, კვირაში 5—7 შილინგი უნდა მიიღოს პენსიად. როგორც ეტყობა, კომისია განსხვავებას არა სდებს მამაკაცსა და დედაკაცს შორის. პენსიას ვერ მიიღებენ ისინი, რომელნიც სისხლის სამართალში იყვნენ მიცემულნი და ამ დანაშაულობისათვის სასამართლოსაგან ციხეში ჯდომა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ზემოთ დასახელებული პირობები თუ სავსებით იქმნა დაცული, 65 წლისა და მეტის ღარიბს კანონით ექმნება უფლება მიიღოს დანიშნული პენსია სიცოცხლის ბოლომდე. რაოდენობა პენსიისა უნდა გადასწყვიტონ საპენსიო კომიტეტებმა, რომელნიც დაარსებულ იქმნება თითოეულ მაზრაში. საპენსიო კასებისათვის, რასაც, „Daily News“-ის სიტყვით, 10 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე მოუნდება წლიურად, ნახევარი უნდა გადადვას სახელმწიფო ხაზინიდგან, ხოლო მეორე ნახევარი — ადგილობრივ შემოსავლიდგან. ასეთის მოხსენების თანახმა იყო კომისიის 13 წევრი 4-ს წინააღმდეგ. უმცირესობაში იყო მთავრობის ორი წევრი და მათ შორის, ისტორიკოსი ლეკკი. გაზეთები ეჭვს აცხადებენ, რომ მთავრობამ საფუძვლად დაუდვას კანონმდებლობას ეს პროექტიო, რადგან ის მოერიდება მაზრების გადამხდელ კონსერვატორებს, რომელთაც არაფრად ეჭაშნიკებათ ახალი გარდასახადი ღარიბთა სასარგებლოდ.

—

შეერთებული შტატები. გაზეთები იუწყებიან, ვითომც კონგრესის ერთს წევრს ეთქვას, რომ შეერთებული შტატები თანახმაა ინგლისთან შეჰკრას საგერი და სატევე კავშირიო, მაგრამ უმაღლეს პოლიტიკურ მოსაზრებით მაკ-კინლეი ჯერ ხმას არ იღებს ამ საგნის შესახებო.

—

ჩინეთი. გონკონგიდგან იუწყებიან, კუანგ-ტუნგში უწესოებამ უფრო იმატაო. მთავრობას ან არა სურს და ან არ შეუძლიან უწესოების მოსპობა და ცარცვა-გლეჯა, ამიტომ ყველგან გაცრცელებული არისო. აბრეშუმით მოვაჭრეებს კანტონში, რომელთაც დიდძალი აბრეშუმი უნდა გაეგზავნათ ევროპის ვაჭრებისთვის, უცნობებიათ ამ უკანასკნელთათვის, რომ რადგან შიშიანობაა გზებში და დაუბრკოლებლად მისვლა-მოსვლა შეუძლებელიაო, ამიტომ დანიშნულს დროზედ ვერ მოვასწრებთ აბრეშუმის გამოგზავნასო. თავისის ინტერესების დასაცველად, ინგლისს განუზრახავს ახალი კანონერკების გაგზავნა მდ. ჩუე-კიანგში.

---

## თეატრის მატიანე

გუშინ სახაზინო თეატრში წარმოდგენილ იქმნა საიმპერატორო თეატრის არტისტის დალსკის და მის ამხანაგების მიერ „ჰამლეტი“. წარმოდგენას, რომ იტყვიან, ანსამბლი აკლდა, რადგანაც, დალსკის გარდა, სხვა არტისტები ყოვლად შეუსაბამონი იყვნენ მათ მიერ ნაკისრებ როლებისათვის. თითონ ბ. დალსკის „ჰამლეტის“ როლში გონიერად ჩახედვა და სცენიური გამოცდილება ეტყობა. მხოლოდ მას არა აქვს მგზნებარე ტემპერამენტი და ამის გამო ყოველი სულიერი მოძრაობა „ჰამლეტი“-სა დალსკის-მიერ მხოლოდ გარეგანის ეფექტებით გადმოიცემის. დალსკის მოძრავი და გამომეტყველი სახე აქვს, გარნა ეს არის, რომ ხან და ხან გადაჭარბების გზას ადგება ხოლმე, რაც განვითარებულ გემოვნების მქონე მაყურებელზე კარგად ვერ მოქმედობს. ამას გარდა ადგილ-ადგილ უზომოდ ჰყვირის, რაც ასე თუ ისე აუხეშავებს „ჰამლეტი“-ს გრძნობა-გონებით აღსავსე პოეტურ ბუნებას. ისეთი დიდ-ბუნებოვანი ადამიანი, როგორც ჰამლეტია, რომელიც მუდამ ღრმად ჩახედულია თვისს არსებაშივე და მოცულია ამასთანავე სკეპტიციზმით—იშვიათად თუ მიჰმართავს თვისის ტანჯვათა გამოსათქმელად ამ გვარ მყვირალა საშუალებათა, რომლითაც ხელმძღვანელობს ბ-ნი დალსკი.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. წარმოდგენა პირველ საათზედ დასრულდა.

ინენ.

---

## დამაკვირდი

—

გმირი რასაც დაიქადის, მასვე აღასრულის: მისი „ჰო“ ჰოა და „არა“— არა.

ლასურიძე

* * *

შური მეჭირვებაა არს ცუდი, წყლულებაა არს ჭეშმარიტებისა.

ფილოსოფ. პლატონ

* * *

ინადირობენ ძაღლითა ყურდგელთა მონადირენი, ხოლო ლიქნითა მლიქვნელნი უგუნურთა.

საეკლ. მუზ. № 153

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველაზედ უხნესი სამეფო ტახტის მემკვიდრე დღეს უელსის პრინცია, რომელიც დედოფალ ვიქტორიას შემდეგ ინგლისის მეფედ და ინდოეთის იმპერატორად უნდა გახდეს. უელსის პრინცი ამ ჟამად 58 წლის კაცია. მეორე ადგილი დანიის პრინცს ქრისტიან-ფერდინანდს უჭირავს, რომელიც 56 წლისაა. იტალიის მემკვიდრე ვიქტორ-ემმანუილი 30 წლისაა; მონაკოს მემკვიდრე პრინცი ლიუდოვიკო—29 წლისაა, გერმანიის მემკვიდრე პრინცი—17 წლისაა. ყველაზედ ახალგაზრდა პორტუგალიის მემკვიდრე პრინცი ლიუდოვიკოა, რომელიც ამ ჟამად 12 წლისაა.

* * *

ამერიკის ქალაქ სან-ფრანცისკოში არსებობს „განქორწინებულ ქმართა კლუბი“. ასეთი კლუბი პირველია მთელს ქვეყანაზედ. ერთის ამერიკულ გაზეთის რეპორტიორს ამას წინად შეუკრებია საინტერესო ცნობები ამ კლუბის შესახებ და თავისს გაზეთში რამდენიმე წერილი დაუბეჭდია. ამერიკაშიო, სწერს რეპორტიორი, ისე გაადვილდა განქორწინება, რომ ამისათვის სულ უბრალო მიზეზიც-კი საკმაოა. დასახელებულ კლუბის პრეზიდენტი, მაგალითად, საუკეთესო კაცია, ხოლო ცოლი განშორდა მარტო იმიტომ, რომ პრეზიდენტი პაპიროსსა სწევდა. სამაგალითო კაცია აგრეთვე კლუბის დამაარსებელიც. იგი მშვიდი, წყნარი, განვითარებული, დინჯის ხასიათის კაცია და ცოლი განშორდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კაცი ძილის დროს ჰბოდავს ხოლმე. ადმინისტრატორი კლუბისა ნამდვილი ჯენტლმენია. ერთხელ მან ცოლს მეგობრულად უსაყვედურა, მორთვა-მოკაზმაზედ ძალიან ბევრ ფულსა ჰხარჯავო და ეს საყვედური საკმაო იყო მათს განსაქორწინებლად. კლუბის წევრებად არიან ისეთნიც, რომელთაც ცოლები განშორდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქმრებმა რაიმე მათი სურვილი არ შეასრულეს; მაგალითად, კაფე-შანტანში არ წაიყვანეს, ან სიდედრთან სადილად არ გაჰყვნენ. არის ისეთიც, რომელსაც ცოლი განშორდა იმიტომ, რომ ქმარს ძაღლები არ უყვარდა. ამ რიგად, ამ კლუბის წევრებს „უბედურნი“ და ცოლებისაგან უმიზეზოდ „განდევნილნი“ ქმრები შეადგენენ. ყოველ დღე კლუბს ახალ-ახალი წევრები ემატება თურმე.

* * *

სმოლენსკის გუბერნიის ქალაქ დუხოვშჩინში ამას წინად, საღამოს ექვს საათზედ, შიგ შუა ქუჩაში კაცი დამხჩვალა. თუმცა ჩვენს კურთხეულ ქალაქ ტფილისში ამ გვარი ამბავი ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ასეთი მაგალითი-კი ყოფილა, რომ ქუჩების მოუწყობელობის გამო კაცს ფეხი ან ხელი მოუტეხნია, ქუჩის ტალახში მუცლამდე უტოპნია და ქუჩაშივე დაგუბებულ წყალში უცურავნია. ასე რომ ქ. დუხოვშჩინი, ვგონებთ, ერთად ერთი ქალაქი იქმნება დედამიწის ზურგზედ, რომელიც უსუფთაობით და მოუწყობლობით ჩვენს ტფილისს გადააჭარბებს. აი დუხოვშჩინაში საქმე როგორ მომხდარა. იმ დღეს დიდი წვიმა მოსულა. უიმისოდაც ოღრო-ჩოღრო და ტალახით სავსე ქუჩები წყლით ავსებულა. ერთი ქუჩა ნამდვილ მდინარეს წარმოადგენდა თურმე. ამ ქუჩაზედ საღამოს ექვს საათზედ მიდიოდა რამდენიმე გლეხი. ერთ ადგილას გლეხებს მეორე მხარეს გადასვლა მოუწადინიათ, კარგა ხანს მდგარან ქუჩის ნაპირას და უთათბირნიათ. ბოლოს, როდესაც ერთ მოხელეს ფეხით გაუხდია და მეორე ნაპირას გასულა, გლეხებსაც ფეხსაცმელი დაუხდიათ და შესდგომიან წყალს. წყალი ისე ძლიერა სცემდა თურმე, რომ წინ წასული გლეხი წაუქცევია და წაუღია. ამხანაგებს ვერაფერი უშველიათ. ვერც ქუჩაში შეკრებილ ხალხს მოუხერხებია რამ. ბოლოს პოლიციელი მივარდნილა, ჩამხტარა წყალში და მოტივტივებულ კაცისათვის ქუდში ხელი უტაცნია. რასაკვირველია, ქუდი ხელში შერჩენია და კაცი-კი წყალს წაუღია. მხოლოდ ღამის 11 საათზედ უპოვნიათ დამხჩვალის გლეხის გვამი.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივლისი.

**პეტერბურგი.** 23 ივლისს მოვიდა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობამ შეიტანა საბჭოში მოხსენება იმის შესახებ, რომ მოსკოვში დაარსებულ იქმნას პუშკინის სახსოვრად სახალხო აუდიტორია წერა-კითხვის სრულიად არ მცოდნეთათვის და მცირე ცოდნის მქონეთათვის და აგრეთვე ბიბლიოთეკა-სამკითხველო წერა-კითხვის მცოდნეთათვის. როგორც აუდიტორია, აგრეთვე სამკითხველო უფასო იქმნება.

**ეკატერინოსლავი.** ის კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს შემოწირულების შეკრება უმაღლეს სამთო სასწავლებლისათვის, ამ სასწავლებლის დირექტორ სუჩკოვი-თურთ, შეუდგა პოტემკინის სასახლის გადაკეთებას ამ სასწავლებლის იარის კურსის მოსათავსებლად. ეს სასახლე სასწავლებელს თავად-აზნაურობამ დაუთმო. სასწავლებელი სექტემბრის ნახევარში გაიხსნება.

**პეტერბურგი.** 24 ივლისს გარეშე საქმეთა მინისტრთან გამართულ იქმნა სადილი საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პატივ საცემად.

სამკურნალო საბჭომ ძველ სააფთიაქო ნიხრის ნაცვლად ახალი ნიხრი შეადგინა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ. ეს ახალი ნიხრი შემოღებულ იქმნება სატახტო ქალაქებში 1899 წლის 1 სექტემბრიდგან, ხოლო შიდა რუსეთის დანარჩენ ადგილებში ამა წლის 1 ოქტომბრიდგან. ამ ნიხრის ციმბირსა, შუა-აზიის გუბერნიებსა და კავკასიაში შემოღების შესახებ ახალი განკარგულება იქმნება მომხდარი.

**პარიჟი.** საღამოს 9 საათსა და 30 წუთზედ სად. ჟიუვიზში მატარებლები დაეჯახნენ ერთმანეთს, ჯერჯერობით მოკლული აღმოჩნდა 17 კაცი, ხოლო დაჭრილი 37.

**მადრიდი.** გამოქვეყნებული იქმნა დეკრეტი კორტესთა სესსიის დასრულების შესახებ.

---

## განცხადებანი


ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—14)



აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და **სოფ. კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—11) ნ. წერეთელი





როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—ნ.—16)



ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

**პაპიროზის ქაღალდები**

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

**სიყალბეს ერიდეთ!**

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი.

(10—3)



გამოვიდა გასასყიდად ბროშიურა რუსულს ენაზედ:

**НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ**

თხზ. ი. პ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და გაგზავნითაც ჩვენ გავუგზავნით. **ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.


Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.